

# ბერტრან რასელი

**Bertrand Arthur William Russell**

## ესეები

ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა  
ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2020

მთარგმნელი: **დიმიტრი უჩანეიშვილი**

გამომცემელი: **გიზო ცაცუა**

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი

ვებ-გვერდი: [akti.ge](http://akti.ge)

© iBooks

ISBN 978-9941-8-2479-1

## სარჩევი

მთარგმნელის, დიმიტრი უჩანეიშვილის წინასიტყვაობა.....5

## ქსეპი

რატომ არ ვარ ქრისტიანი.....9

არსებობს თუ არა ღმერთი.....35

რელიგიის სასარგებლო წვლილი

ცივილიზაციის განვითარებაში?.....49

რა არის სული?.....79

სკეპტიციზმის ღირებულების შესახებ.....87

ადამიანის მომავალი.....117

თავისუფალი ადამიანის თავყვანისცემა.....133

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....147

რასელის ესსეისტიკა გამორჩეულ ადგილს იკავებს დიდი ბრიტანელის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, ბერტრან რასელი იყო არა მხოლოდ მრავალმხრივი მეცნიერი (ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ლოგიკოსი, ისტორიკოსი), რომელმაც დიდი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებაზე, არამედ მას მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია გააჩნდა. მისი ესსეისტიკა ისეთ თემებს ეხება, როგორიცაა პოლიტიკა, რელიგია, ადამიანის უფლებები.

წინამდებარე წიგნში შეტანილი ესსეები, ერთი მხრივ, ათეისტურ-აგნოსტიკური ხასიათისაა („რატომ არ ვარ ქრისტიანი“, „არსებობს თუ არა ღმერთი“, „რელიგიის სასარგებლო წვლილი ცივილიზაციის განვითარებაში?“, „რა არის სული“), რომლებშიც მეცნიერი ერთმნიშვნელოვნად რელიგიის საწინააღმდეგო პლატფორმაზე დგას, რომელსაც კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთ უდიდეს შემაკავებელ ფაქტორად თვლიდა.

ცალკე უნდა გამოვყოთ ფილოსოფოსის სკეპტიკური ხასიათის სამი ესსეი: „ათეისტი ვარ თუ აგნოსტიკოსი“, „რატომ ვარ რაციონალისტი“ და „სკეპტიციზმის ღირებულების შესახებ“, სადაც ბერტრან რასელი სამყაროსა და სინამდვილისადმი დამოკიდებულების მოდელს გვთავაზობს.

ესეიში „ადამიანის მომავალი“ დიდი ფილოსოფოსი სამყაროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების სამ გზას აყალიბებს.

ამავე კრებულში გთავაზობთ ყველაზე ცნობილ, ყველაზე პესიმისტურ, ყველაზე პოეტურ და ამავდროულად, სიცოცხლის მამკვიდრებელ ესეის, „თავისუფალი ადამიანის თავყვანისცემა“, რომელიც, ობიექტური აზრის არარსებობის პირობებში, ჭეშმარიტებისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის მოწოდებას წარმოადგენს.

**დიმიტრი უჩანეიშვილი**

რატომ **არ** ვარ ქრისტიანი

როგორც, თავმჯდომარემ მოგახსენათ, ჩემი დღევანდელი ლექციის სახელწოდებაა „რატომ არ ვარ ქრისტიანი“. ვფიქრობ, ამთავითვე, კარგი იქნებოდა გაგვერკვია სიტყვა **ქრისტიანის** არსი. საქმე იმაშია, რომ, დღესდღეობით უამრავი ადამიანი იყენებს მას, ფრიად გაურკვეველი მნიშვნელობით და მათი უმრავლესობა ამ ცნების ქვეშ მხოლოდ ისეთ ადამიანს გულისხმობს, რომელიც ცდილობს ცხოვრების ჯეროვან წესს მისდიოს. ვფიქრობ, ამ გაგებით, ქრისტიანების მოძიება ყველა სექტასა და რელიგიაში იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ არ ვთვლი, რომ ეს ამ სიტყვის მართებული მნიშვნელობაა, რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა, ვინც ქრისტიანი არ არის – ყველა ბუდისტი, კონფუციანელი, მუსულმანი და ა.შ. – არ ცდილობს, რომ ცხოვრების ასეთსავე წესს მისდიოს. შესაბამისად, მე ქრისტიანის ქვეშ არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პატიოსნად არსებობს. ვფიქრობ, ადამიანს კონკრეტული შეხედულებების კრებული უნდა გააჩნდეს, სანამ საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებდეს. დღეისათვის, ამ ცნებას დაკარგული აქვს ის სისხლსავსე მნიშვნელობა, რაც მას თომა აქვინელისა და ნეტარი ავგუსტინეს დროს გააჩნდა. თუ იმ ხანაში ადამიანი იტყოდა, რომ ის იყო ქრისტიანი, ყველასთვის გასაგები ხდებოდა, რას გულისხმობდა იგი. ქრისტიანად ყოფნა ნიშნავდა უკიდურესი სიზუსტით განსაზღვრულ რელიგიურ შეხედულებათა კრებულის გაზიარებას, რომლის თითოეული მარცვალი მთელი ძალმოსილებით უნდა გერწმუნათ.

## რა არის ქრისტიანი?

დღეს ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ, იძულებულნი ვართ ერთგვარ გაურკვევლობაში ვიყოთ ქრისტიანობის ცნებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, სახეზე გვაქვს ორი ძირითადი კომპონენტი, რომელიც არსებითია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს. პირველი უფრო დოგმატური ხასიათისაა. კერძოდ, იგი გულისხმობს, რომ თქვენ უნდა გწამდეთ ღმერთი და უკვდავება. თუ ეს ორი რამ არ გწამთ, არა მგონია მართებული იყოს საკუთარ თავს ქრისტიანი უწოდოთ. შემდეგ, როგორც ამას თავად სახელწოდება გვკარნახობს, თქვენ უნდა გაგაჩნდეთ გარკვეული სახის რწმენა იესო ქრისტესი. მაგალითად, მუსულმანებსაც სწამთ ღმერთი და უკვდავება, მაგრამ საკუთარ თავს ქრისტიანებად არ თვლიან. ვფიქრობ, უკიდურეს შემთხვევაში, ის მაინც უნდა გწამდეთ, რომ ქრისტე ღვთიური თუ არა, ადამიანთა შორის უბრძენესი და უკეთილშობილესი მაინც იყო. თუ ასეთი წარმოდგენა არ გაქვთ იესოს შესახებ, არა მგონია რაიმე უფლება გქონდეთ საკუთარ თავს ქრისტიანი უწოდოთ. რასაკვირველია, არსებობს სხვა მნიშვნელობაც, რომელსაც თქვენ მიაგნებთ **ვითქურის აღმანაქსა** და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში, სადაც სამყაროს მოსახლეობა დაყოფილია ქრისტიანებად, მუსულმანებად, ბუდისტებად, წარმართებად და ა.შ. ამ გაგებით, ჩვენ ყველა ქრისტიანები ვართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ჩვენ ერთიანობაში განგვიხილავს, მაგრამ ეს ამ სიტყვის წმინდად გეოგრაფიული მნიშვნელობაა, რაც, ჩემი აზრით, უნდა უგულებელვყოთ. შესაბამისად, როდესაც, მე შევეუდგები ახსნას იმისა, თუ რატომ არ ვარ ქრისტიანი, მე უნდა ავხსნა ორი რამ: პირველი, თუ რატომ არ მწამს ღმერთი და უკვდავება; და მეორე, რატომ არ მიმაჩნია, რომ იესო ქრისტე იყო ადამიანთა შორის უბრძენესი და უკეთილშობილესი, მიუხედავად იმისა, რომ მე მას საკმაოდ მაღალ ზნეობრივ საფეხურზე ვათავსებ.

აქვე, უნდა ვთქვა ის, რომ წარსულის ურწმუნოთა წარმატებულ მცდელობებს უნდა ვუმაღლოდ ქრისტიანობის ასეთ ელასტიურ განსაზღვრებას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარსულში ქრისტიანობის ცნებას გაცილებით უფრო სისხლსავსე მნიშვნელობა გააჩნდა. მაგალითად, ის გულისხმობდა ჯოჯოხეთის რწმენას. სულ მცირე ხნის წინ, ჯოჯოხეთის მარადი ცეცხლის რწმენა ქრისტიანობის არსებითი ატრიბუტი კვლავაც იყო, მაგრამ როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, ამ ქვეყანაში ფარული კრების გადანაცვლებით იგი ქრისტიანული მოძღვრების არსებით ატრიბუტს აღარ წარმოადგენს. ამას ქენტერბერისა და იორკის არქიეპისკოპოსები არ დაეთანხმნენ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რელიგიას პარლამენტის აქტები განსაზღვრავს და ამდენად, ფარულმა კრებამ შეძლო მათ უგანათლებულესობათა შეხედულებების გვერდის ავლა და, ამგვარად, ჯოჯოხეთს მოეხსნა ქრისტიანისთვის აუცილებლობის ფუნქცია. შესაბამისად, მე აღარ დავიჟინებ, რომ ქრისტიანს ჯოჯოხეთის უნდა სწამდეს.

## **ღმერთის არსებობა**

უნდა აღვნიშნო, რომ ღმერთის არსებობა უკიდურესად დიდი და სერიოზული საკითხია, და ოდნავ მაინც ადეკვატურად რომ განმეხილა იგი, თქვენი დაყოვნება მეორედ მოსვლამდე მომიწევდა. ამდენად, იმედია მაპატიებთ, რომ ამ საკითხს შემაჯამებელ ფორმატში შევეხები. დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით კათოლიკური ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული დოგმა იმის შესახებ, რომ ღმერთის არსებობა მხოლოდ გონებით იქნას დადასტურებული. გარკვეულწილად უცნაური დოგმაა, მაგრამ იგი ეკლესიის დოგმათაგან ერთ-ერთია. მისი შემოღება ეკლესიას იმ მიზეზით მოუწია, რომ ერთ დროს, თავისუფლად მოაზროვნეებს



ლმერთის არსებობის წინააღმდეგ მეტყველი სხვადასხვა არგუმენტები მოჰქონდათ, ეკლესიისთვის კი ლმერთის არსებობა რწმენის საკითხი იყო. ასეთი არგუმენტები და მიზეზები დიდი ოდენობით იქნა შემუშავებული, რამაც კათოლიკური ეკლესია დააფიქრა დაესრულებინა ეს ყველაფერი. შესაბამისად, მათ დაადგინეს, რომ ლმერთის არსებობა შესაძლოა დადასტურებულ იქნას მხოლოდ გონების ძალით და ისეთი არგუმენტების შემუშავებას შეუდგნენ, რომლებიც, მათი აზრით, ლმერთის არსებობას ადასტურებდნენ. ასეთი არგუმენტი მრავალია, მაგრამ მე, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდები.

### **პირველმიზეზის არგუმენტი**

სავარაუდოდ, გასაგებად ყველაზე იოლი და მარტივი პირველმიზეზის არგუმენტია (იგი შემდეგში მდგომარეობს: ყველაფერს, რასაც ჩვენ ვხედავთ, ამქვეყნად მიზეზი გააჩნია და თუ ამ მიზეზთა ჯაჭვში უკან-უკან წავალთ, მივალთ პირველმიზეზთან, რომელსაც თქვენ ლმერთს უწოდებთ). ჩემი აზრით, ამ არგუმენტს დღესდღეობით დიდი ხიბლი აღარ გააჩნია, პირველ რიგში იმ მიზეზით, რომ მიზეზის ცნება აღარ წარმოადგენს იმას, რაც უნინ იყო, რადგან იგი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების შეტევებს განიცდიდა და ამის გამოისობით დაკარგა ის ცხოველმოსილება, რომელიც მას ადრე გააჩნდა; თუმცა, გარდა ამისა, თქვენ თავად ხედავთ, რომ პირველმიზეზის არსებობის არგუმენტს არ შეიძლება რაიმე საფუძველი გააჩნდეს. ნება მომეცით ვაღიარო: როდესაც, ახალგაზრდა ვიყავი და მოცემულ საკითხზე მწვავე დებატებს ვმართავდი საკუთარ თავთან, ჩემთვის კარგა ხნის განმავლობაში იყო მისაღები ეს არგუმენტი, მანამ, სანამ ერთ დღეს, თვრამეტი წლის ასაკში, ჯონ სტიუარტ მილის ავტობიოგრაფიას არ გავეცანი, სადაც ასეთ წინადადე-

ბას წავაწყდი: „მამაჩემი მასწავლიდა, რომ კითხვას „ვინ შექმნა მე?“ არ შეიძლება პასუხი გაეცეს, რადგან მას გარდუვალად მივყავართ კითხვასთან „ვინ შექმნა ღმერთი?“. დღემდე მიმაჩნია, რომ ამ უმარტივესმა წინადადებამ მიჩვენა პირველმიზეზის არგუმენტის ცდომილება. თუ ყველაფერს გააჩნია მიზეზი, ღმერთსაც უნდა გააჩნდეს იგი. თუკი რაიმე შეიძლება მიზეზის გარეშე არსებობდეს, ეს შეიძლება იყოს სამყაროც ღმერთის გარეშე და ამდენად, მოცემულ არგუმენტს არანაირი საფუძველი არ გააჩნია. მას ზუსტად ისეთი ბუნება აქვს, როგორც ჰინდუს შებედულებას, რომელიც თვლის, რომ სამყარო სპილოს ეყრდნობა, სპილო კი კუს. როდესაც მას ჰკითხეს: „კუ რალას ეყრდნობა?“ ჰინდუმ უპასუხა: „იქნებ საუბრის თემა შეგვეცვალა?“ ჩვენი არგუმენტი არაფრით არ არის ჰინდუს პასუხზე უკეთესი. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამყარო არ შეიძლება ბოდა მიზეზის გარეშე შექმნილიყო; მეორე მხრივ, არც იმის საფუძველი გვაქვს ჩავთვალოთ, რომ იგი მუდამ არ არსებობდა. არანაირი საფუძველი არ გვაქვს ვთვლიდეთ, რომ სამყაროს საერთოდ გააჩნდა დასაწყისი. შეხედულება იმის შესახებ, რომ საგნებს გარდუვალად უნდა გააჩნდეთ საწყისი, მხოლოდ ჩვენი წარმოსახვის სიმწირეზე მეტყველებს. აქედან გამომდინარე, ნება მომეცით პირველმიზეზის არგუმენტს მეტი დრო აღარ დავუთმო.

## **ბუნებრივი კანონზომიერების არგუმენტი**

შემდგომ ამისა, არსებობს ფრიად გავრცელებული შეხედულება, რომელიც ბუნებრივ კანონზომიერებას ეხება. პოპულარობის პიკს მან მეთვრამეტე საუკუნეში მიაღწია, რასაც სერ ისააკ ნიუტონსა და მის კოსმოგონიას უნდა უმაღლოდეს. ადამიანები აკვირდებოდნენ პლანეტების მოძრაობას მზის

გარშემო, რასაც მიზიდულობის კანონი არეგულირებს, მაგრამ თვლიდნენ, რომ პლანეტები ასეთი წესით ღმერთის მითითებით მოძრაობდნენ. რასაკვირველია, ეს იყო იოლი და მოსახერხებელი გზა, რაც თავიდან არიდებდა მათ მიზიდულობის კანონის უფრო ღრმად, შინაარსობრივად შესწავლას. დღესდღეობით ჩვენ მიზიდულობის კანონს ვხსნით ერთგვარად გართულებული ფორმით, ისე, როგორც ეს აინშტაინმა შემოგვთავაზა. ჩემს მიზანს არ წარმოადგენს მიზიდულობის კანონის აინშტაინის მიერ შემოთავაზებული მოდელის განხილვა, რაც ასევე ბევრ დროს წაგვართმევდა. ასე თუ ისე, დღეს, თქვენ აღარ გაქვთ ბუნებრივი კანონზომიერების ის ფორმა, რომელიც ნიუტონის სისტემაში არსებობდა, სადაც ყველასთვის აუხსნელი მიზეზით ბუნება მუდამ მსგავსად იქცეოდა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი რამ იქიდან, რაც ადრე ბუნებრივ კანონზომიერებას მიეწერებოდა, მხოლოდ ადამიანის მიერ დაშვებული პირობითობა ყოფილა. თქვენ იცით, რომ კოსმოსური სივრცის უშორეს სიღრმეებშიც კი სამი ფუტი კვლავ იარდს შეადგენს. ეჭვგარეშეა, ეს საკმაოდ ნიშანდობლივი ფაქტია, მაგრამ რთულად თუ ვინმე უნოდებს მას ბუნებრივ კანონზომიერებას. მსგავსად ამისა, მრავალი რამ, რაც ადრე ბუნებრივ კანონზომიერებად ითვლებოდა, აღწერილ კატეგორიას ეკუთვნის. მეორე მხრივ, როდესაც თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა გარკვეული ცოდნა შეიძინოთ ატომების მოძრაობის შესახებ, აღმოაჩინო, რომ ისინი გაცილებით უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან კანონებს, ვიდრე ეს ადამიანებს წარმოუდგენიათ, ხოლო კანონები, რომლებსაც თქვენ აღმოაჩინო, სხვა არაფერი იქნება, გარდა ასეთი ტიპის სტატისტიკური საშუალოებისა, რომელთა საფუძვლად შემთხვევითობა დევს. თუკი თქვენ კამათელს ისვრით, მაშინ ყველასთვის ცნობილი კანონზომიერების მიხედვით, ორი ექვსიანის გამოსვლის ალბათობა  $1/36$  იქნება, მაგრამ ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ ამას ვილაციის ნება არეგულირებს. პირიქით, ყოველ ჯერზე რომ ორი ექვსიანი გამოდიოდეს, სწორედ მაშინ ვიფიქრებდით, რომ პროცესი ვილაციის ნებით რეგულირდება.

ადამიანის ცხოვრება ხანმოკლე და უძლურია. მასა და მის მოდგმაზე უღმობელი და ბნელი ბედისწერაა ჩამონოლილი. გულგრილი სიკეთისა და ბოროტის, განადგურების განუხვებლობისადმი, ყოველისშემძლე მატერია მიუყვება მის სასტიკ გზას. ადამიანისთვის, რომელიც დღეს მსჯავრდებულია, უძვირფასესი დაკარგოს, ხვალ კი თავად შეალოს წყვედიადის კარი, სანამ დარტყმა არ განხორციელებულა, მხოლოდ ზრუნვა დარჩენია ამაღლებულ აზრებზე, რომლებიც მის მოკლე დღეს აკეთილშობილებენ; არად მიჩნევით ბედისწერის მონის სულმოკლე შიშისა, თაყვანი სცეს მას, რაც მისი საკუთარი ხელით არის შექმნილი; შემთხვევითობის მბრძანებლობით შეუშფოთებელი, ინარჩუნებდეს გონების თავისუფლებას მზარდი ტირანიის წინაშე, რომელიც მის გარეგან ცხოვრებაზე მბრძანებლობს; ამაყად გამოიწვიოს გადაულახავი ძალები, რომლებიც მის ცოდნასა და გმობას იტანენ დროებით, და მარტოდმარტომ, დაქანცულმა, მაგრამ უდრეკი ატლანტის მსგავსად ზიდოს სამყაროს ტვირთი, სამყაროსი, რომელიც მისი საკუთარი იდეალების შესაბამისად არის შექმნილი, მიუხედავად უგონო ძალის ყოვლისმქელავი სვლისა.